<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-9 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

2. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

მუხლი 29. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაცია

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა საბითუმო რეალიზაციის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე იმ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.“.

3. 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ იმ იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, ამ მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

1^2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტის განხორციელების უფლება მიანიჭოს სხვა იურიდიულ პირს.“.

4. 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 პუნქტი:

„3[1]. ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ. ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობა ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზატორებმა 2026 წლის 1 მარტისთვის უზრუნველყონ ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების არსებული მარაგების სასყიდლით გადაცემა იმ იურიდიული პირისთვის, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, აგრეთვე ოპიოიდური ჩანაცვლებითი თერაპიის მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებებმა განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები 2026 წლის 1 მარტამდე დაწყებული/მიმდინარე ოპიოიდური ჩანაცვლებითი მკურნალობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად.

3. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, 2029 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდება შესაბამისი ნებართვის მიღების ვალდებულებისგან.

მუხლი 3

საქართველოს მთავრობამ/საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა 2026 წლის 1 მარტამდე უზრუნველყონ ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიღებული/გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 4

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ ყაველაშვილი*